



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



წერილის ნომერი: 31-31223142
თარიღი: 10/11/2022

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის,
მანხვარეთი, გვიმბალაური, ჩიბათის მაჟორიტარი დეპუტატის გიორგი ჩახვადის

მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმი N3

მუნიციპალიტეტის დასახელება - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

შეხვედრის ადგილი - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მანხვარეთის ადმინისტრაციული ერთეული (იმედაიშვილების უბანი).

შეხვედრის ჩატარების თარიღი - 7.11. 2022 წელი 13:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, მაჟორიტარი დეპუტატი **გიორგი ჩახვადე**, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე **კარლო წილოსანი**, მანხვარეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი **გოჩა ცინცაძე**, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების უფროსი **თამაზ იმედაიშვილი**, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი **ოთარ ზენაიშვილი**, მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია**, მოწვეული პირები.

გიორგი ჩახვადე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის. მან განაცხადა, რომ ის შეხვედრა ყველა მოქალაქეს რათა მოისმინოს პრობლემები. აუცილებელია რაღაც წერტილიდან დაიწყოს პრობლემების მოგვარება და გაკეთდეს ინფრასტრუქტურული განვითარების გეგმა, რომელიც გადანაწილდება ოთხი წლის პერიოდზე და დალაგდება პრიორიტეტების მიხედვით. მუნიციპალიტეტის მერთან და შესაბამის სამსახურთან ერთად გაივლის ყველა პრობლემატურ საკითხს.

მაჟორიტარმა დეპუტატმა ისაუბრა სოფელ ორაგვეში მიმდინარე ტურისტული ზონის მოწყობის თაობაზე. აღნიშნა, რომ მისასალმებელია, დაიგო გზა და ეწყობა ინფრასტრუქტურა, მაგრამ კიდევ ბევრი საკითხია მოსაგვარებელი. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა.

ჯუმბერ გოგუაძემ განაცხადა, რომ ის ცხოვრობს წყლის „ბასეინთან“. ბუნებრივი აირის გაყვანის დროს დააზიანეს მისი სახსრებით გაკეთებული სანიაღვრე არხი. წვიმის დროს წყალი მის ეზოში მიედინება, ესაჭიროება სანიაღვრე არხის გაკეთება.

თამაზ იმედაიშვილმა განაცხადა, რომ მათი უბანი სადაც დაახლოებით 30 ოჯახი ცხოვრობს ესაჭიროებათ სანიაღვრე არხი, გზის მოასფალტება (დაახლოებით 300) მეტრი და სამ ადგილას ცხაურის მოწყობა. ასევე განაცხადა, რომ წყლის მილები ძველი და დაზიანებულია. საჭიროა მთლიანი ქსელის გამოცვლა, რისთვისაც

საჭიროა 1 000 მეტრი 50 მმ (დიამეტრის) წყლის მილი.

კოტე იმედაიშვილმა განაცხადა, რომ სახლის წინ ჩამოედინება პატარა მდინარე, მაგრამ წვიმის დროს დიდდება და ვერ გადადიან. ესაჭიროებათ მილხიდის მოწყობა.

სოფლის მოსახლეობა ითხოვს სასაფლაოს შემოღობვას, რაზეც გიორგი ჩახვაძემ განაცხადა, რომ 2023 წელს სოფლის პროგრამის ფარგლებში ეცდება მოაწესრიგოს.

ასევე სოფლის მოსახლეობამ განაცხადა, რომ რადგანაც დაიგო გზა, შესაძლებელია ნაგვის ურნების დადგმა რამდენიმე ადგილას, რაზეც გიორგი ჩახვაძემ დახმარება აღუთქვა.

მზეო ფაცურიამ განაცხადა, რომ პრობლემაა ელექტროენერჯის მიწოდება. ხშირად ითიშება და დენის სიმძლავრე ძალიან დაბალია, ელექტრომომწყობილობები ვერ მუშაობს. რაზეც გიორგი ჩახვაძემ განაცხადა, რომ 2023 წელს ელ-ქსელებს გათვალისწინებული აქვთ ამ უბნის რეაბილიტაცია.

მაჟორიტარმა დეპუტატმა გიორგი ჩახვაძემ განაცხადა, რომ ის ყოველთვის მზად არის დაეხმაროს მათ პრობლემების მოგვარებაში.

პატივისცემით,

გიორგი ჩახვაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე